# ოქმი N1

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2021 წლის 3 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 35 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 35 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჯემალი შეროზია, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები, მეხუთე მოწვევის საკრებულოს წევრების სახელობითი სია (მასალები ოქმს თან ერთვის) და ახალარჩეულ მუნიციპალიტეტის მერს დავით ბუკიას მიულოცა გამარჯვება და წარმატებები უსურვა საქმიანობაში, რის შემდეგაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" თანახმად, სხდომის თავმჯდომარედ დაასახელა საკრებულოს უხუცესი წევრი ვლადიმერ ქანთარია და სთხოვა მას დაეკავებინა სხდომის თავმჯდომარის ადგილი და გაძღოლოდა სხდომას საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე და მას გადასცა საარჩევნო დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ (ვ. ქანთარია) მისასალმებელი სიტყვის შემდგომ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები

*დღის წესრიგი:*

1. „დროებითი სამანდატო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- სხდომის თავმჯდომარე)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი - ------------------------- დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

3. „დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშებისა და საარჩევნო პროცედურების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი ------------------------- სხდომის თავმჯდომარე)

5. „----------------------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- საკრებულოს თავმჯდომარე)

7. „----------------------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

8. „----------------------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- საკრებულოს თავმჯდომარე)

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

11. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - -------------------------- დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

12. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - -------------------------- დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

13. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - -------------------------- დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

14. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - -------------------------- დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

15. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - -------------------------- დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)]

16. „------------------------- ხობის მუნიციპალიტეტის იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - -------------------------- დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

17. „------------------------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - -------------------------- დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

18. „-------------------------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

19. „------------------------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

20. „------------------------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ------------------------- დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და დამატებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 35 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 35, წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგის გაცნობის შემდგომ საკრებულოს წევრმა ი. ჯიშკარიანმა - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გააკეთა განცხადება და განაცხადა, რომ გარდაიცვალა მათი კოლეგა ქალაქ ბათუმის ახალარჩეული საკრებულოს წევრი და სთხოვა კოლეგებს წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისთვის.

საკრებულოს წევრებმა პატივი მიაგეს გარდაცვლილი საკრებულოს წევრის ხსოვნას.

## დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „დროებითი სამანდატო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - სხდომის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმებისა და საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით განაცხადა, რომ აუცილებელია შეიქმნას დროებითი სამანდატო კომისია არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით და სთხოვა საკრებულოს წევრებს წარმოედგინათ კანდიდატურები.

საკრებულოს წევრების მხრიდან დასახელდა გიორგი გვასალიას, მზია ლემონჯარიას, მედეა თათარიშვილის და ლევან ლიპარტიას კანდიდატურები

საკრებულოს წევრმა ი. ჯიშკარიანი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" განაცხადა, რომ წინასწარ ცნობილია თუ ვინ იქნებიან ხელმძღვანელ თანამდებობებზე არჩეულები, გამომდინარე აქედან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არ მიიღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების და კომისიის წევრების თავმჯდომარეების არჩევაში.

განცხადება გააკეთა ასევე საკრებულოს წევრმა მ. იოსავა - პარტია „გახარია-საქართველოსთვის" და აღნიშნა, რომ მისი პარტიის წევრებიც არ მიიღებდნენ კენჭისყრაში მონაწილეობას

კანდიდატურების დასახელების შემდეგ კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს „დროებითი სამანდატო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ"

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 35 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ლ. ადანაია, მ. ხუხია, ზ. შამათავა, თ. ქირია, ფ. წურწუმია, ჯ. ჯიშკარიანი, ნ. ბოკუჩავა, ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია მ. იოსავა, ი. ზაქარაია, მ. ჩარტია, ნ. შუშანია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N20 ოქმს თან ერთვის)**

სხდომის თავმჯდომარემ დროებით სამანდატო კომისიას გადასცა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესწავლისა და უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით, რისთვისაც გამოცხადდა შესვენება 20 წუთით.

შესვენების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დროებითი სამანდატო კომისიის მიერ შესწავლილ იქნა არჩევნების ჩატარების შედეგები და სთხოვა კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა შესაბამისი განკარგულების

პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“

2. „ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს:** მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ დროებითი სამანდატო კომისია გაეცნო საარჩევნო კომისიის მიერ გადმოცემულ დოკუმენტაციას, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კანონმდებლობის სრული დაცვით და გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 35 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 35, წინააღმდეგი – 0**

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N21 ოქმს თან ერთვის)**

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცნობილ იქნა ახალარჩეული საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება, მიულოცა თითოეულ მათგანს ამ ნდობის მოპოვება და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

3. „დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - სხდომის თავმჯდომარე)

**მოისმინეს:** ვ. ქანთარია - მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს თანამდებობის პირების ფარული კენჭისყრით არჩევასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა შეიქმნას დროებითი ხმის დამთვლელი კომისია არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით და სთხოვა საკრებულოს წევრებს წარმოედგინათ კანდიდატურები.

საკრებულოს წევრების მხრიდან დასახელდნენ დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის კანდიდატები: ა. მალანია, ა. ხურცილავა, გ. ლატარია

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს „დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ"

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 35 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ლ. ადანაია, მ. ხუხია, ზ. შამათავა, თ. ქირია, ფ. წურწუმია, ჯ. ჯიშკარიანი, ნ. ბოკუჩავა, ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია, მ. იოსავა, ი. ზაქარაია, მ. ჩარტია, ნ. შუშანია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N22 ოქმს თან ერთვის)**

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, იმისათვის, რომ დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ აირჩიოს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო პროცედურების დაცვას გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშებისა და საარჩევნო პროცედურების დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - სხდომის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: ვ. ქანთარია -** სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" გათვალისწინებულია საკრებულოს თანამდებობის პირების ფარული კენჭისყრის წესით არჩევა, საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშების დამტკიცებისა და საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის მიზნით წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშებისა და საარჩევნო პროცედურების დამტკიცების შესახებ"

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშებისა და საარჩევნო პროცედურების დამტკიცების შესახებ"

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 35 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ლ. ადანაია, მ. ხუხია, ზ. შამათავა, თ. ქირია, ფ. წურწუმია, ჯ. ჯიშკარიანი, ნ. ბოკუჩავა, ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია, მ. იოსავა, ი. ზაქარაია, მ. ჩარტია, ნ. შუშანია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N23 ოქმს თან ერთვის)**

5. „------------------------ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - სხდომის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ წარმოადგინა კომისიის ოქმი, რომლის თანახმადაც კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ხურცილავა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ გ. ლატარია, ხოლო კომისიის მდივნად არჩეულია ა. მალანია, რის საფუძველზედაც საკრებულო უფლებამოსილია დაიწყოს საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის განხილვა და სთხოვა საკრებულოს წევრებს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით წერილობით წარმოედგინათ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციაზე წარმოდგენილ იქნა ლევან ქავთარაძის კანდიდატურა (წარდგინება ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს აპარატს სთხოვა მოემზადებინა წარმოდგენილი კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო ბიულეტენები და ხმის დამთვლელ დროებით კომისიასთან ერთად უზრუნველეყო საარჩევნო პროცედურების განხორციელება, რისთვისაც გამოცხადა შესვენება 1 საათით.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ შეაჯამა საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების შედეგები და სთხოვა დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ა. ხურცილავას საკრებულოსთვის გაეცნო არჩევნების შედეგები

**მოისმინეს:** ა. ხურცილავა - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 20-მა წევრმა, გაიცა 20 ბიულეტენი, ყუთის გახსნისას აღმოჩნდა 20 ბიულეტენი. ფარული კენჭისყრის შედეგებით ხმების უმრავლესობა - 20 ხმა მიიღო არჩევნებში მონაწილე ერთადერთმა კანდიდატმა ლევან ქავთარაძემ, წინააღმდეგი არცერთი. გამომდინარე აქედან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა ლევან ქავთარაძე და საკრებულოს წევრებს გააცნო

განკარგულების პროექტი „ლევან ქავთარაძის ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ (ოქმს თან ერთვის)

**გადაწყვეტილება ცნობად იქნა მიღებული**

**(განკარგულება N24 ოქმს თან ერთვის)**

სხდომის თავმჯდომარემ ვ. ქანთარიამ მიულოცა ლევან ქავთარაძეს საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევა და სთხოვა დაეკავებინა სხდომის თავმჯდომარისთვის განკუთვნილი ადგილი და გაძღოლოდა საკრებულოს სხდომას.

**აზრი გამოთქვეს:** ლ. ქავთარაძე - გამომსვლელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკრებულოს წევრებს მიულოცა არჩევნებში მიღწეული წარმატებები და განაცხადა, რომ მიუხედავად საკრებულოში არჩეული სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებისა ერთად შეძლებენ მუნიციპალიტეტისთვის სასიკეთო საქმის კეთებას. ასევე მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ გუნდს თანადგომისთვის. მისი სურვილია საკრებულოს წევრებთან ერთად აკეთოს ის საქმე, რაც ხოზის მუნიციპალიტეტს წაადგება. მადლობა გადაუხადა საკრებულოს უხუცეს წევრს (ვ. ქანთარია) სხდომის გაძღოლისთვის. მერის თანამდებობაზე არჩევა, მიულოცა ბატონ დავით ბუკიას, წარმატებები უსურვა ასევე ახალ არჩეულ ყველაზე ახალგაზრდა წევრს ლევან ლაშხიას ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე მისასალმებელი სიტყვის შემდეგ გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 საკითხის განხილვაზე

6. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე)

**მოისმინეს: ლ. ქავთარაძე** - სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელდა არაერთი ცვლილება, რომლის თანახმადაც საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე და ორი მოადგილე, შეიცვალა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეების კანდიდატების წარდგენისა და კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტების წესი, ფრაქციის შექმნის წესი და ასევე შეიცვალა ფრაქციის თანამდებობის პირების ზღვრული ოდენობა. ზემო აღნიშნული ცვლილებების საკრებულოს რეგლამენტში ასახვის მიზნით საკრებულოს აპარატის უფროსის (ლ. შამათავა) მიერ მომზადდა საკრებულოს რეგლამენტის პროექტი, რომელიც გააცნო საკრებულოს წევრებს (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით რაიმე სახის მოსაზრება ან შეკითხვა ხომ არ ჰქონდათ. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ"

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 35 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ლ. ადანაია, მ. ხუხია, ზ. შამათავა, თ. ქირია, ფ. წურწუმია, ჯ. ჯიშკარიანი, ნ. ბოკუჩავა, ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია, მ. იოსავა, ი. ზაქარაია, მ. ჩარტია, ნ. შუშანია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N14 ოქმს თან ერთვის)**

7. „---------------------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შემდეგ აირჩევა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, რომლის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, კანონით მინიჭებული ამ უფლებამოსილების ფარგლებში. საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაასახელა მამუკა ქარდავას კანდიდატურა და სთხოვა საკრებულოს აპარატს მოემზადებინა წარმოდგენილი კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო ბიულეტენები და ხმის დამთვლელ დროებით კომისიასთან ერთად უზრუნველეყო საარჩევნო პროცედურების განხორციელება, რისთვისაც გამოაცხადა შესვენება 30 წუთით.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ შეაჯამა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების შედეგები და სთხოვა დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ა. ხურცილავა საკრებულოსთვის გაეცნო არჩევნების შედეგები

**მოისმინეს: ა. ხურცილავა** - გამომსვლელმა წარმოადგინა კომისიის სხდომის ოქმი (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 20-მა წევრმა, გაიცა 20 ბიულეტენი, აქედან მამუკა ქარდავას კანდიდატურას მხარი დაუჭირა 20-მა საკრებულოს წევრმა, წინააღმდეგი - 0, ბათილი - 0 ბიულეტენი. არჩევნების შედეგებით საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა მამუკა ქარდავა და წარმატებები უსურვა მას შემდგომ საქმიანობაში. რის შემდგომაც საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „მამუკა ქარდავას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ" (ოქმს თან ერთვის)

**გადაწყვეტილება ცნობად იქნა მიღებული**

**(განკარგულება N25 ოქმს თან ერთვის)**

8. „------------------------ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აირჩევა იგივე პრინციპით, რა პრინციპითაც აირჩა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კანონით მინიჭებული ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ დაასახელა გოჩა ქაჯაიას კანდიდატურა და სთხოვა საკრებულოს აპარატს მოამზადოს წარმოდგენილი კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო ბიულეტენები და ხმის დამთვლელ დროებით კომისიასთან ერთად უზრუნველყოს საარჩევნო პროცედურების განხორციელება, რისთვისაც გამოაცხადა შესვენება 30 წუთით

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ შეაჯამა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების შედეგები და სთხოვა დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ა. ხურცილავა საკრებულოსთვის გაეცნო არჩევნების შედეგები

**მოისმინეს: ა. ხურცილავა** - გამომსვლელმა წარმოადგინა კომისიის სხდომის ოქმი (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 20-მა წევრმა, გაიცა 20 ბიულეტენი, აქედან გოჩა ქაჯაიას კანდიდატურას მხარი დაუჭირა 20-მა საკრებულოს წევრმა, წინააღმდეგი - 0, ბათილი - 0 ბიულეტენი. არჩევნების შედეგებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა გოჩა ქაჯაია, რომელსაც წარმატებები უსურვა საქმიანობაში. რის შემდგომაც, სხდომის

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „გოჩა ქაჯაიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ“ (ოქმს თან ერთვის)

**გადაწყვეტილება ცნობად იქნა მიღებული**

**(განკარგულება N26 ოქმს თან ერთვის)**

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის შედეგების გამოცხადების შემდგომ განაცხადა, რომ მას კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შესაძლებელია ჰყავდეს მესამე მოადგილე, მაგრამ ამ ეტაპზე გუნდის გადაწყვეტილებით აღარ აირჩევა მესამე მოადგილე

მე-8 საკითხის დასრულების შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე განცხადება წარმოადგინა საკრებულოს წევრმა ა. მალანიამ, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შექმნის თაობაზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე განცხადება წარმოადგინა საკრებულოს წევრმა მ. იოსავამ, ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ შექმნის თაობაზე, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე განცხადება წარმოადგინა საკრებულოს წევრმა ი. ჯიშკარიანმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალირი მოძრაობის“ შექმნის თაობაზე, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შემოსულია საკრებულოს წევრების განცხადებები ფრაქციის შექმნის თაობაზე, რომლებიც გადასცა დროებით სამანდატო კომისიას წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რისთვისაც გამოცხადდა შესვენება 20 წუთით.

შესვენების შემდგომ დროებითმა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ (მ. თათარიშვილი) წარმოადგინა კომისიის ოქმი და განკარგულების პროექტები ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით.

9. „ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების“ პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ (ოქმს თან ერთვის)

**გადაწყვეტილება ცნობად იქნა მიღებული**

**(განკარგულება N27 ოქმს თან ერთვის)**

10. „ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ფრაქცია „ხობი საქართველოსთვის“ რეგისტრაციის შესახებ (ოქმს თან ერთვის)

**გადაწყვეტილება ცნობად იქნა მიღებული**

**(განკარგულება N28 ოქმს თან ერთვის)**

11. „ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ფრაქციია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ (ოქმს თან ერთვის)

**გადაწყვეტილება ცნობად იქნა მიღებული**

**(განკარგულება N29 ოქმს თან ერთვის)**

12. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე)

**მოისმინეს: ლ. ქავთარაძე** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (ოქმს თან ერთვის) და განმარტა, რომ საკრებულო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ამტკიცებს

საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივ სარგოებს, ამ ეტაპზე წარმოდგენილი ცვლილებით განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით რაიმე სახის მოსაზრება ან შეკითხვა ხომ არ ექნებოდათ. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 9 (ი. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, თ. ქირია, ლ. ლაშხია, ჯ. ჯიშკარიანი, მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ზ. შამათავა, ვ. ფოცხორაია)**

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: მ. იოსავა, ნ. შუშანია, ი. ზაქარაია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია, მ. ჩარტია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N15 ოქმს თან ერთვის)**

სხდომის თავმჯდომარემ, ფრაქციის სამივე თავმჯდომარეს მიულოცა ფრაქციის შექმნა და წარმატებები უსურვა მათ შემდგომ საქმიანობაში. რის შემდგომაც განმარტა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განხორციელებული ცვლილების თანახმად, შეიცვალა კომისიის შემადგენლობების დამტკიცებისა და კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატების წარდგენის წესი, კანონის ამ მოთხოვნის თანახმად, წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრა კომისიების შემადგენლობებში კომისიის წევრთა რაოდენობა და კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს (ა. თათარიშვილი) წარმოედგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი

13. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი. მ. თათარიშვილი - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის

განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ" (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით რაიმე სახის მოსაზრება ან შეკითხვა ხომ არ ექნებოდათ.

**აზრი გამოთქვეს: ნ. შუშანია, მ. იოსავა** - ფრაქცია „ხობი საქართველოსთვის" - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ მათი ფრაქციის წევრები ორ-ორ კომისიაში გაწევრიანდებოდნენ და წარმოადგინეს განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციის წარმომადგენლობის გაწევრიანების შესახებ (ოქმს თან ერთვის)

**თ. ქირია** - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი- გამომსვლელმა განაცხადა, რომ მათი ფრაქციის წევრების სურვილია ორ-ორ კომისიაში გაწევრიანდნენ და წარმოადგინეს განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციის წარმომადგენლობის გაწევრიანების შესახებ (ოქმს თან ერთვის)

**მ. ქარდავა** - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გამომსვლელმა წარმოადგინა ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" წევრების განცხადება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში გაწევრიანების შესახებ. (ოქმს თან ერთვის)

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია, ი. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, მ. ხუხია, ზ. შამათავა, თ. ქირია, ფ. წურწუმია, ჯ. ჯიშკარიანი, მ. იოსავა, ი. ზაქარაია, ნ. შუშანია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N30 ოქმს თან ერთვის)**

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღევანდელი სხდომა ამით წყვეტდა მუშაობას სხდომის დახურვის გარეშე და სხდომის განახლების თარიღად დაასახელა 6 დეკემბერი 11.00 სთ, აღნიშნულ სხდომაზე გაგრძელდება დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვა. იქვე მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები ან კითხვები წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს: თ. ქირია, ი. ჯიშკარიანი** - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - გამომსვლელები შემოვიდნენ წინადადებით, თუ საკრებულო თანახმა იქნებოდა გაეგრძელებინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა.

**მ. იოსავა** - ფრაქცია „ხობი საქართველოსთვის" - გამომსვლელი დაეთანხმა წინა გამომსვლელებს სხდომის გაგრძელების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი წინადადება საკრებულოს სხდომის გაგრძელებასთან დაკავშირებით

კენჭი ეყარა წინადადებას საკრებულოს სხდომის გაგრძელების თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 32, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია)

**დაადგინეს:** გაგრძელდეს 2021 წლის 3 დეკემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა განკარგულების პროექტები, კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

11. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი. მ. თათარიშვილი - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი -** მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" (ოქმს თან ერთვის)

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 32, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია)

(განკარგულება N31 ოქმს თან ერთვის)

12. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი. მ. თათარიშვილი - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი -** მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ (ოქმს თან ერთის)

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 32, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია)

**(განკარგულება N32 ოქმს თან ერთვის)**

13. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა)

(მომხსენებელი. მ. თათარიშვილი - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ (ოქმს თან ერთის)

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 32, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია)

**(განკარგულება N33 ოქმს თან ერთვის)**

14. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი. მ. თათარიშვილი - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ (ოქმს თან ერთის)

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 32, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია)

**(განკარგულება N34 ოქმს თან ერთვის)**

15. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი. მ. თათარიშვილი - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ (ოქმს თან ერთის)

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 32, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია)

**(განკარგულება N35 ოქმს თან ერთვის)**

მე-15 საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეების არჩევის საკითხი და ამასთან დაკავშირებით განმარტა: კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთ მეხუთედსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით საკრებულოს წევრებს სთხოვა წარმოედგინათ შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეების კანდიდატურები.

**მ. ქარდავა** - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მას ხელთ აქვს საკრებულოს წევრების სხვადასხვა ჯგუფის მიერ წარდგენილი კომისიის

თავმჯდომარეობის კანდიდატები - 1) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ლევან ლიპარტიას კანდიდატურა; 2) საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე მედეა თათარიშვილის კანდიდატურა; 3) საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დოდო გაბუნიას კანდიდატურა; 4) საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ვლადიმერ ქანთარიას კანდიდატურა; 5) საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ბექა მამაცაშვილის კანდიდატურა. რის შემდეგაც დოკუმენტაცია გადასცა სხდომის თავმჯდომარეს (ოქმს თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, ხომ არ იყო კიდევ სხვა კანდიდატურები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა, რის შემდგომაც საკრებულოს აპარატს სთხოვა მოემზადებინა წარმოდგენილი კანდიდატების არჩევასთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო ბიულეტენები და ხმის დამთვლელ დროებით კომისიასთან ერთად უზრუნველეყო საარჩევნო პროცედურების განხორციელებ, რისთვისაც გამოაცხადა შესვენება 30 წუთით.

ფარული კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ა. ხურცილავას წარმოედგინა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეების არჩევნების შედეგები

16. „მედეა თათარიშვილის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ა. ხურცილავა-დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: ა. ხურცილავა** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „მედეა თათარიშვილის ხობის მუნიციპალიტეტის იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ (ოქმს თან ერთვის)

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

**(განკარგულება N36 ოქმს თან ერთვის)**

17. „ლევან ლიპარტიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ა. ხურცილავა-დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: ა. ხურცილავა** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ლევან ლიპარტიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ (ოქმს თან ერთვის)

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

**(განკარგულება N37 ოქმს თან ერთვის)**

18. „დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ა. ხურცილავა-დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: ა. ხურცილავა** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ (ოქმს თან ერთვის)

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

**(განკარგულება N38 ოქმს თან ერთვის)**

19. „ვლადიმერ ქანთარიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ა. ხურცილავა-დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: ა. ხურცილავა** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ვლადიმერ ქანთარიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ (ოქმს თან ერთვის)

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

**(განკარგულება N39 ოქმს თან ერთვის)**

20. „ზექა მამაცაშვილის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ა. ხურცილავა-დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: ა. ხურცილავა** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ვლადიმერ ქანთარიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ" (ოქმს თან ერთვის)

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

**(განკარგულება N40 ოქმს თან ერთვის)**

სხდომის თავმჯდომარემ კოლეგებს მიულოცა არჩევა და წარმატებები უსურვა მათ საქმიანობაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. მედეა თათარიშვილი
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. ია ჯიშკარიანი
10. აკაკი მალანია
11. მალხაზი იოსავა
12. მზია ლემონჯარია
13. ქეთევან კვირიკაშვილი
14. დიტო ხასია
15. ფრიდონ შონია
16. ფრიდონი კუკავა
17. თათია ქირია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. სერგო ბერაია
22. გიორგი გვასალია
23. ბექა ხარბედია
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. გურიელ ქარდავა
26. ლელა ადანაია
27. მოგელი ხუხია
28. ზურაბი შამათავა
29. ფელიქსი წურწუმია
30. ჯანსუღი ჯიშკარიანი
31. ნინო ბოკუჩავა
32. ირაკლი ზაქარაია
33. მაკა ჩარტია
34. ნუგზარი შუშანია
35. ლევანი ლაშხია